

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №31  
2023 წლის 28 დეკემბერი

ქ. ხობი

## ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

განისაზღვროს:

ა.ა) შემოსულობები – 16398,7 ათასი ლარით;

ა.ბ) გადასახდელები – 16398,7 ათასი ლარით;

ა.გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი – 270,4 ათასი ლარით, მათ შორის:

ა.გ.ა) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად – 270,4 ათასი ლარი;

ა.დ) სარეზერვო ფონდი – 90,0 ათასი ლარით;

ა.ე) ვალდებულებების ცვლილება, კლება 58,0 ათასი ლარით.

### მუხლი 2

დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, დადგენილების დანართი (ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართულის სახით.

### მუხლი 3

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 29/12/2021, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.106.016405).

### მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

ხობის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევან ქავთარაძე

დანართი

## ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი

თავი I

### ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

#### მუხლი 1. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



შემოსავლები	22102.2	23693.0	7612.6	16080.4	16343.7	0.0	16343.7
გადასახადები	11557.8	12679.5	0.0	12679.5	15025.1	0.0	15025.1
გრანტები	9079.3	10102.0	7612.6	2489.4	270.4	0.0	270.4
სხვა შემოსავლები	1465.1	911.5	0.0	911.5	1048.2	0.0	1048.2
<b>ხარჯები</b>	<b>11518.6</b>	<b>15486.1</b>	<b>1505.0</b>	<b>13981.1</b>	<b>14532.2</b>	<b>0.0</b>	<b>14532.2</b>
შრომის ანაზღაურება	3391.5	3857.9	0.0	3857.9	4322.6	0.0	4322.6
საკონელი და მომსახურება	1984.6	3573.4	1233.0	2340.4	2089.2	0.0	2089.2
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	25.4	22.9	0.0	22.9	16.0	0.0	16.0
სუბსიდიები	5016.9	6796.9	0.0	6796.9	7140.8	0.0	7140.8
გრანტები	15.0	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
სოციალური უზრუნველყოფა	564.3	520.7	0.0	520.7	594.2	0.0	594.2
სხვა ხარჯები	520.9	684.3	272.0	412.3	339.4	0.0	339.4
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>10583.6</b>	<b>8206.9</b>	<b>6107.6</b>	<b>2099.3</b>	<b>1811.5</b>	<b>0.0</b>	<b>1811.5</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>7758.4</b>	<b>15182.1</b>	<b>7543.8</b>	<b>7638.3</b>	<b>1753.5</b>	<b>0.0</b>	<b>1753.5</b>
ზრდა	8126.7	15232.1	7543.8	7688.3	1808.5	0.0	1808.5
კლება	368.3	50.0	0.0	50.0	55.0	0.0	55.0
მთლიანი სალდო	2825.2	-6975.2	-1436.2	-5539.0	58.0	0.0	58.0
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>2773.8</b>	<b>-7034.2</b>	<b>-1436.2</b>	<b>-5598.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
<b>ზრდა</b>	<b>2804.3</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
ვალუტა და დეპოზიტები	2804.3	0.0			0.0	0.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>კლება</b>	<b>30.5</b>	<b>7034.2</b>	<b>1436.2</b>	<b>5598.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
ვალუტა და დეპოზიტები	30.5	7034.2	1436.2	5598.0	0.0	0.0	0.0



ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-51.4</b>	<b>-59.0</b>	<b>0.0</b>	<b>-59.0</b>	<b>-58.0</b>	<b>0.0</b>	<b>-58.0</b>
<b>ზრდა</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
<b>კლება</b>	<b>51.4</b>	<b>59.0</b>	<b>0.0</b>	<b>59.0</b>	<b>58.0</b>	<b>0.0</b>	<b>58.0</b>
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	51.4	59.0	0.0	59.0	58.0	0.0	58.0
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>

**მუხლი 2. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>შემოსულობები</b>		<b>22470.5</b>	<b>23743.0</b>	<b>7612.6</b>	<b>16130.4</b>	<b>16398.7</b>	<b>0.0</b>	<b>16398.7</b>
შემოსავლები	1	22102.2	23693.0	7612.6	16080.4	16343.7		16343.7
არაფინანსური აქტივების კლება	31	368.3	50.0	0.0	50.0	55.0	0.0	55.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გაკლებით)	32	0.0	0.0			0.0	0.0	0.0
<b>გადასახდელები</b>		<b>19696.7</b>	<b>30777.2</b>	<b>9048.8</b>	<b>21728.4</b>	<b>16398.7</b>	<b>0.0</b>	<b>16398.7</b>
ხარჯები	<b>0.0</b>	11518.6	15486.1	1505.0	13981.1	14532.2		14532.2
არაფინანსური აქტივების ზრდა		8126.7	15232.1	7543.8	7688.3	1808.5		1808.5
ვალდებულებების კლება		51.4	59.0		59.0	58.0		58.0



ნაშთის ცვლილება		2773.8	-7034.2	-1436.2	-5598.0	0.0	0.0	0.0
-----------------	--	--------	---------	---------	---------	-----	-----	-----

**მუხლი 3. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 16343,7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	22,102.2	23,693.0	7,612.6	16,080.4	16,343.7	0.0	16,343.7
დამატებითი ღირ. გადასახადი	6,655.4	8,029.5		8,029.5	10,225.1		10,225.1
ქონების გადასახადი	4,902.4	4,650.0	0.0	4,650.0	4,800.0		4,800.0
გრანტები	9,079.3	10,102.0	7,612.6	2,489.4	270.4		270.4
სხვა შემოსავლები	1,465.1	911.5		911.5	1,048.2		1,048.2

**მუხლი 4. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 15025,1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	11557.8	12679.5	0.0	12679.5	15025.1	0.0	15025.1
საშემოსავლო გადასახადი								
ქონების გადასახადი	113	4902.4	4650.0	0.0	4650.0	4800.0	0.0	4800.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	2324.7	2288.0		2288.0	2398.0		2398.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	-0.1	0.0			0.0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	11.4	2.0	0.0	2.0	2.0	0.0	2.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	0.0	2.0		2.0	2.0		2.0



არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1131132	11.4	0.0			0.0		
<b>სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე</b>	<b>113114</b>	<b>387.6</b>	<b>340.0</b>	<b>0.0</b>	<b>340.0</b>	<b>350.0</b>	<b>0.0</b>	<b>350.0</b>
ფიზიკურ პირებიდან	1131141	128.2	115.0		115.0	115.0		115.0
იურიდიულ პირებიდან	1131142	259.4	225.0		225.0	235.0		235.0
<b>არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე</b>	<b>113115</b>	<b>2178.8</b>	<b>2020.0</b>	<b>0.0</b>	<b>2020.0</b>	<b>2050.0</b>	<b>0.0</b>	<b>2050.0</b>
ფიზიკურ პირებიდან	1131151	54.3	50.0		50.0	45.0		45.0
იურიდიულ პირებიდან	1131152	2124.5	1970.0		1970.0	2005.0		2005.0
სხვა გადასახადები	116	6655.4	8029.5		8029.5	10225.1		10225.1

### მუხლი 5. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 270,4 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
<b>გრანტები</b>	<b>13</b>	<b>9079.3</b>	<b>10102.0</b>	<b>7612.6</b>	<b>2489.4</b>	<b>270.4</b>	<b>0.0</b>	<b>270.4</b>
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	9079.3	10102.0	7612.6	2489.4	270.4	0.0	270.4
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	1026.0	1286.4	912.2	374.2	270.4	0.0	270.4
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		1026.0	1286.4	912.2	374.2	270.4		270.4
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		0.0	0.0			0.0		
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	8053.3	8815.6	6700.4	2115.2	0.0	0.0	0.0
გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან		1465.5	2115.2		2115.2	0.0		
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		5803.8	5644.4	5644.4		0.0		
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		784.0	784.0	784.0		0.0		
მთავრობის სარეზერვო ფონდი		0.0	272.0	272.0		0.0		



**მუხლი 6. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1048,2 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	კოდი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	1465.1	911.5	0.0	911.5	1048.2	0.0	1048.2
შემოსავლები საკუთრებიდან	141	720.0	450.0	0.0	450.0	544.7	0.0	544.7
პროცენტები	1411	414.0	200.0		200.0	260.0		260.0
რენტა	1415	306.0	250.0	0.0	250.0	284.7	0.0	284.7
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	183.8	160.0		160.0	224.7		224.7
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	122.2	90.0		90.0	60.0		60.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	75.9	59.5	0.0	59.5	101.5	0.0	101.5
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	54.2	41.8	0.0	41.8	84.0	0.0	84.0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	9.2	9.0		9.0	9.0		9.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	45.0	32.8		32.8	75.0		75.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	21.7	17.7	0.0	17.7	17.5	0.0	17.5
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	21.7	17.7		17.7	17.5		17.5
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	606.1	402.0		402.0	402.0		402.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	63.1	0.0			0.0		

**მუხლი 7. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 14532,2 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი



			ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები		ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები
ხარჯები	11518.6	15486.1	1505.0	13981.1	14532.2	0.0	14532.2
შრომის ანაზღაურება	3391.5	3857.9	0.0	3857.9	4322.6	0.0	4322.6
საკონელი და მომსახურება	1984.6	3573.4	1233.0	2340.4	2089.2	0.0	2089.2
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	25.4	22.9	0.0	22.9	16.0	0.0	16.0
სუბსიდიები	5016.9	6796.9	0.0	6796.9	7140.8	0.0	7140.8
გრანტები	15.0	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
სოციალური უზრუნველყოფა	564.3	520.7	0.0	520.7	594.2	0.0	594.2
სხვა ხარჯები	520.9	684.3	272.0	412.3	339.4	0.0	339.4

**მუხლი 8. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება, მათ შორის:  
 ა) განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1.808.5 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების ზრდა	8,126.7	15,232.1	1,808.5

ბ) განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 50,0 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	368.3	50.0	55.0
ძირითადი აქტივები	55.5		0.0
მატერიალური მარაგები	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	312.8	50.0	55.0
მიწა	312.8	50.0	55.0

**მუხლი 9. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალურ კრილში თანდართული ფორმით:

	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა



ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4409.9	5855.0	0.0	5855.0	5819.4	0.0	5819.4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4384.5	5772.2	0.0	5772.2	5803.4	0.0	5803.4
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4217.0	5457.8	0.0	5457.8	5713.4	0.0	5713.4
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	167.5	314.4	0.0	314.4	90.0	0.0	90.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	25.4	82.8	0.0	82.8	16.0	0.0	16.0
<b>704</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>7242.8</b>	<b>10818.5</b>	<b>6763.3</b>	<b>4055.2</b>	<b>2207.7</b>	<b>0.0</b>	<b>2207.7</b>
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	786.3	2033.9	1437.6	596.3	272.2	0.0	272.2
70421	სოფლის მეურნეობა	786.3	2033.9	1437.6	596.3	272.2	0.0	272.2
7045	ტრანსპორტი	5756.8	8484.6	5325.7	3158.9	1635.5	0.0	1635.5
70451	სავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5756.8	8484.6	5325.7	3158.9	1635.5	0.0	1635.5
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	699.7	300.0	0.0	300.0	300.0	0.0	300.0
<b>705</b>	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>208.6</b>	<b>370.2</b>	<b>0.0</b>	<b>370.2</b>	<b>314.4</b>	<b>0.0</b>	<b>314.4</b>
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	207.2	287.7	0.0	287.7	281.4	0.0	281.4
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	1.4	82.5	0.0	82.5	33.0	0.0	33.0
<b>706</b>	<b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>	<b>2369.6</b>	<b>6505.0</b>	<b>1101.3</b>	<b>5403.7</b>	<b>1539.3</b>	<b>0.0</b>	<b>1539.3</b>
7063	წყალმომარაგება	26.0	22.2	0.0	22.2	24.0	0.0	24.0
7064	გარე განათება	394.7	490.6	0.0	490.6	497.9	0.0	497.9
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1948.9	5992.2	1101.3	4890.9	1017.4	0.0	1017.4
<b>707</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>212.7</b>	<b>256.5</b>	<b>0.0</b>	<b>256.5</b>	<b>258.4</b>	<b>0.0</b>	<b>258.4</b>
7072	ამბულატორიული მომსახურება	45.2	51.3	0.0	51.3	53.7	0.0	53.7
70724	საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება	45.2	51.3	0.0	51.3	53.7	0.0	53.7





7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	167.5	205.2	0.0	205.2	204.7	0.0	204.7
<b>708</b>	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>1577.6</b>	<b>2484.6</b>	<b>0.0</b>	<b>2484.6</b>	<b>2728.3</b>	<b>0.0</b>	<b>2728.3</b>
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	294.0	932.6	0.0	932.6	1346.4	0.0	1346.4
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	47.2	57.6	0.0	57.6	58.3	0.0	58.3
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	1236.4	1494.4	0.0	1494.4	1323.6	0.0	1323.6
<b>709</b>	<b>განათლება</b>	<b>3078.9</b>	<b>3691.1</b>	<b>912.2</b>	<b>2778.9</b>	<b>2932.0</b>	<b>0.0</b>	<b>2932.0</b>
7091	სკოლამდელი აღზრდა	2192.2	2745.0	0.0	2745.0	2896.0	0.0	2896.0
7092	ზოგადი განათლება	886.7	946.1	912.2	33.9	36.0	0.0	36.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	886.7	946.1	912.2	33.9	36.0	0.0	36.0
<b>710</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>545.2</b>	<b>737.3</b>	<b>272.0</b>	<b>465.3</b>	<b>541.2</b>	<b>0.0</b>	<b>541.2</b>
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	278.6	230.8	0.0	230.8	257.4	0.0	257.4
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	278.6	230.8	0.0	230.8	257.4	0.0	257.4
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	92.7	82.3	0.0	82.3	92.3	0.0	92.3
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	84.1	100.0	0.0	100.0	130.0	0.0	130.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	89.8	324.2	272.0	52.2	61.5	0.0	61.5
	<b>სულ</b>	<b>19645.3</b>	<b>30718.2</b>	<b>9048.8</b>	<b>21669.4</b>	<b>16340.7</b>	<b>0.0</b>	<b>16340.7</b>

### მუხლი 10. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 58,0 ათასი ლარით.

### მუხლი 11. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 -ით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0 -ით.

### მუხლი 12. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0-ით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 58,0 ათასი ლარით.

### მუხლი 13. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 90.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

### მუხლი 14. ხობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან



გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 270.4 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯამრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 183,0 ათასი ლარი;

ბ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 6,0 ათასი ლარი;

გ) ბავშვის უფლებათა კოდექსით და სხვა საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება: 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო რეაბილიტაციას, ერთჯერადი თანხით დაფინანსება – 20,0 ათასი ლარი, 0-18 წლამდე ასაკის შშმ პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების, კერძოდ დღის ცენტრის თანხის (კომუნალური ხარჯები) თანადაფინანსება – 10,0 ათასი ლარი, აუტიზმით დაავადებულ ბავშვებზე წელიწადში ორჯერადად 300-300 ლარის ოდენობით დახმარების თანხის გაცემა – 4,2 ათასი ლარი, ბავშვის შექენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარება 47,2 ათასი ლარი.

### **მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## **თავი II**

### **ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

#### **მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

##### **1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ასფალტის საფარიანი გზების მოვლა-შენახვა, ტროტუარების რეაბილიტაცია, ქალაქის სკვერებისა და პარკების, ქუჩებისა და მოედნების დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათების მოვლა-შენახვა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

##### **ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები) (პროგრამული კოდი 02 01)**

###### **ა.ა) გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. პერსპექტივაში ამ მიმართულებით გაგრძელდება ასიგნებების გამოყოფა.

###### **ა.ბ) ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01 02)**

ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მგდომარეობის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია. სათანადო რესურსების შემთხვევაში ამ კუთხით ასიგნებები კვლავ გამოიყოფა.

###### **ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02)**

###### **ბ.ა) გარე განათება (პროგრამული კოდი 02 02 01)**



პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს გარე განათების მოვლა-შენახვის ღონისძიებების გახორციელებას,;

### **ბ.ბ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 02)**

მომავალ წლებში გათვალისწინებულ იქნება სოფლების წყალმომარაგების პრობლემების მნიშვნელოვანწილად გადაჭრა.

### **ბ.გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 03)**

პერსპექტივაში კვლავ გრძელდება საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია.

### **ბ.დ) სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 04)**

რეგიონის ჭარბნალექიანობიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის საკითხებს.

### **ბ.ე) მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 06)**

შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება“ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული დაწესებულებების სასმელი წყლით მომარაგებას, ასევე ქ. ხობის მოსახლეობისა და ქ. ხობში განთავსებული დაწესებულებებისთვის წყალარინებით მომსახურების უზრუნველყოფას.

### **გ) სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04)**

მუნიციპალიტეტისათვის ამ მეტად პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში საჭირო იქნება ცენტრალური ბიუჯეტიდან სათანადო სახსრების გამოყოფა.

### **დ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)**

პროექტი ხორციელდება სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მიმართულებებზე, გამოკვეთილია გზები, სანიაღვრე არხები და წყალმომარაგების სისტემები.

### **ე) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 06)**

პროგრამით ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გამოყოფილი ოსიგნებებით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.

### **ვ) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 07)**

ერთობლივად დაფუძნებული კერძო სამართლის ა(ა)იპ „სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრი“ აწარმოებს უნიკალური ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავებას, ორგანიზაცია მოახდენს რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირებას კერძო და საჯარო სექტორში რეგიონული ტურიზმის პოპულარიზებისათვის.

## **2. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02)**

შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს ქალაქის სკვერებისა და პარკების მოვლა-შენახვისა და დასუფთავების ღონისძიებების გახორციელებას, გააჩნია შესაბამისი ტექნიკა.



### **3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

#### **ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 750 ბავშვი. ხდება არსებული მატერიალური ბაზის განახლება და ახლის შექმნა.

### **4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

#### **ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

##### **ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)**

მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ზრდის სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსებას. 2024 წლისათვის გათვალისწინებული პროექტით - 53,0 ათასი ლარი.

##### **ა.ბ) ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)**

მუნიციპალიტეტი სრულად აფინანსებს ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხდება ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალთა გუნდის ტურნირების დაფინანსება, რაც 2024 წლისათვის შეადგენს 488,8 ათას ლარს.

##### **ა.გ) სტადიონების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 01 03)**

ხდება არსებული სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა.

##### **ა.დ) ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 06)**

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრში“ ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული სექციები (ჭიდაობის, კრივის, რაგბის, ჭადრაკის, კარატესა და მკლავჭიდის).

#### **ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

##### **ბ.ა) ძეგლთა დაცვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 02 02)**

ამ კუთხით გამოყოფილი სახსრები განკუთვნილია ისტორიული ძეგლების მონიტორინგისათვის, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის.

##### **ბ.ბ) კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)**

დაგეგმილია სხვადასხვა თემატური ღონისძიება, ხალხური პოეზიის გამოვლენა და შემოქმედ ოჯახებთან შეხვედრა, ახალგაზრდა თაობის ჩართვით.

#### **გ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)**



პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები (მხარეთმცოდნეობის კუთხით ლაშქრობების მოწყობა, ახალგაზრდული დღეების გამართვა, ექსკურსიების მოწყობა, ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა თემატურ საკითხებზე შეხვედრების მოწყობა, ახალგაზრდების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ინიცირებული პროექტების თანადაფინანსება).

**დ) კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 05)**

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმათლებო საზოგადოებრივი ცენტრი“-ს მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს, . ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტური ცენტრი“ კოორდინირებას უწევს ქ. ხობში კულტურის სახლის, ცენტრალური ბიბლიოთეკის ქ. ხობში, 12 სასოფლო ბიბლიოთეკის, 8 სასოფლო კლუბის, 2 სასოფლო კულტურის სახლის, 3 მუზეუმის მუშაობას. ცენტრი ასევე ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან. აქ ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლა, კომპიუტერის შემსწავლელი ცენტრი და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. სულ სხვადასხვა წრეებსა და სექციებში გაერთიანებულია 700-ზე მეტი ბავშვი. მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მატერიალური ბაზისა და სპორტული და სასწავლო ინვენტარებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხს.

**ე) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხობის ხარების დედათა მონასტრისა და პირველი ხორგის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის ფინანსური მხარდაჭერა.

**5. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელსეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას, ერთიანი სახერლმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

**ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები (პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება; ეპიდსაწიინაღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა; დაავადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება.)

იმუნიპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა ( იმუნიპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგებადადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინაცინათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

იმუნიპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში; (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პჯდ დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით; „ცივი ჯაჭვის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა (წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესის მიხედვით და გადამტანების არსებობის დაგენა სეზონის განმავლობაში.



პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები (წყალსატევებში გამბუზის გავრცელება ყოველწლიურად და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა.)

პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა (მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარშემო; სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა.

დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა (მალარიის დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; სხვა პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, რეკომენდაციების მიწოდება).

სანიტარული ღონისძიებები (საგანმანათლებლო, სააღმზრდელო საგანმანათლებლო-საარმზრდელო დაწესებულებების სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

**ბ) ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02)**

მუნიციპალიტეტი ახდენს იმ მცირერიცხოვანი სულადობის მქონე სოფლების ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, რომლებიც დარჩნენ სახელმწიფო პროგრამის გარეშე. ამ მიზნით 2024 წელს გამოიყოფა 53,7 ათასი ლარი.

**გ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 03)**

